ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №22

2025 წლის 29 დეკემბერი

ქ. რუსთავი

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 02.05.11.555) განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 42-ე მუხლის, „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილებით დამტკიცებული სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის და „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის – გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N154 დადგენილების გათვალისწინებით, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 02.05.11.555) განაშენიანების დეტალური გეგმა დანართი 1-ის შესაბამისად.

მუხლი 2

მიწის ნაკვეთზე (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 02.05.11.555) არსებული საცხოვრებელი ზონა 2 სექტორი 2 (სზ-2 ს 2) (საპროექტო) შეიცვალოს საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ 3).

მუხლი 3

მიწის ნაკვეთის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 02.05.11.555) კ-2 კოეფიციენტი განისაზღვროს 1.9 -ით.

მუხლი 4

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **მამუკა რეხვიაშვილი**